ავტობიოგრაფია

მე, მარიამ ჩუბინიძე დავიბადე 1991 წლის 26 ივნისს ქალაქ ზესტაფონში. 1997 წელს დავიწყე სწავლა სკოლაში, რომელიც დავამთავრე 2008 წელს. იმავე წელს ჩავირიცხე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელსაც მოგვიანებით შეეცვალა სახელწოდება და 2012 წელს დავასრულე ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი ,,სამართალმცოდეობის" სპეციალობით. 2012-2014 წლებში ვსწავლობდი იმავე უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე. უნივერსიტეტში სწავლების პარალელურად 2011 წელს დავიწყე სტაჟირება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის აპარატში. 2012 წელს კონკურსის საფუძველზე დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის მომსახურების ცენტრის კონსულტანტად, 2012 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში ამავე სასამართლოში გავიარე ყველა საფეხური, ვიყავი მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი, ასევე წლების მანძილზე მოსამართლის თანაშემწე. 2018 წლის ივლისიდან მუშაობა განვაგრძე თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც ვიმუშავე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვამდე, ე.ი. 2023 წლის 11 ივლისამდე, სააპელაციო სასამართლოში მუშაობისას ვიყავი, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, ასევე სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწე.

ამასთან გეტყვით, რომ მყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი, რომლებთან ერთადაც ვცხოვრობ თბილისში. ძალიან მიყვარს მათთან ერთად დროის გატარება, ასევე ფილმების ყურება და მუსიკის მოსმენა.

ჩემი დიდი სურვილია, გავხდე მოსამართლე. მესმის, რომ რთული და ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მუდმივი განვითარების სურვილით, შრომისმოყვარეობითა და ამ საქმისადმი დიდი სიყვარულით შევძლებ თავი გავართვა დაკისრებულ მოვალეობას და ვაქციო მოსამართლეობა ჩემი ცხოვრების მთავარ წესად.

მარიამ ჩუბინიძე

17.07.2024 წელი.